

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

### „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს კონსტიტუციის 102-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდეს საქართველოს პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი (№07-1/317, 11.11.2011) „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი.

2. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 176-ე მუხლის პირველი, მე-2 და 2<sup>1</sup> პუნქტების შესაბამისად შეიქმნას საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია 29 წევრისაგან, შემდეგი შემადგენლობით:

**პავლე კუბლაშვილი** – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარე)

**ლევან ვეფხვაძე** – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე

**დავით დარჩიაშვილი** – საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე

**აკაკი მინაშვილი** – საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე

**ნუგზარ წიკლაური** – საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე

**პეტრე ცისკარიშვილი** – საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი

**გიორგი თარგამაძე** – საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი

**გია თორთლაძე** – ფრაქცია „მლიერი საქართველოს“ თავმჯდომარე

**გიორგი ახვლედიანი** – ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარე

**ვახტანგ ბალავაძე** – საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის თავმჯდომარე

**ნიკოლოზ ლალიაშვილი** – საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

**გურამ ჩახვაძე** – საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

**რატი მაისურაძე** – საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

**ჯონდო ბალათურია** – საქართველოს პარლამენტის წევრი

**კობა ხაბაზი** – საქართველოს პარლამენტის წევრი

**პეტრე ზამბახიძე** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე

**გია ხუროშვილი** – საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი

**თამარ ჩუგოშვილი** – არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე

**ვასილ გონაშვილი** – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

**მერაბ ბასილაია** – ფონდი „ALPE“-ს PR და მედიაპროგრამების დირექტორი

**დავით აფრასიძე** – აკადემიური პერსონალი, ფილოსოფიის დოქტორი

**გია გეწაძე** – აკადემიური პერსონალი, იურისტი

**ზურაბ დავითაშვილი** – აკადემიური პერსონალი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი  
**გიორგი კვერენჩხილაძე** – აკადემიური პერსონალი, ასისტენტ-პროფესორი  
**კახი ყურაშვილი** – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი  
**ნანა ჭილაძე** – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი  
**სოსო ცინცაძე** – ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს დიპლომატიური აკადემიის რექტორი  
**ირაკლი ბურდული** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი  
**დავით კერესელიძე** – აკადემიური პერსონალი, სრული პროფესორი.  
3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.  
**საქართველოს პარლამენტის**  
**თავმჯდომარე დ. ბაქრაძე**  
**თბილისი,**  
**2011 წლის 11 ნოემბერი.**  
**№5259-III**